ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №81

2015 წლის 23 ივლისი,
ქ. ბათუმი

პროფესორ ფერიდე აცამბასთვის შოთა რუსთაველის სახელობის მედლის მინიჭების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის, **„შოთა რუსთაველის სახელობის მედლის“ დამტკიცების შესახებ**“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №122-ე დადგენილებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ მარინა გიორგაძის წარდგინების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ხანგრძლივი და მჭიდრო სამეცნიერო და პედაგოგიური ურთიერთობების, უნივერსიტეტის სტუდენტებთან წარმატებული სისტემატური მუშაობის, უნივერსიტეტისთვის მეცნიერული, მეთოდური და პროფესიული დახმარებისთვის, ბათუმის საპატიო მოქალაქეს, ბათუმის მკვიდრს, გამოჩენილ მეცნიერს, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ფერიდე აცამბას მიენიჭოს საპატიო ჯილდო – შოთა რუსთაველის სახელობის მედალი;

2. მედლის გაცემა დარეგისტრირდეს სპეციალურ წიგნში, შესრულების უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ–ს რექტორის აპარატს (უფროსი არჩილ ვარშალომიძე);

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**